

როგორ ვისწავლოთ შეცდომებზე

ადამიანთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ცხოვრებაში ერთ-ერთი მთავარი სირთულე შეცდომის დაშვება და შემდეგ მისი გამოსწორებაა. საზოგადოდ, გვძულს შეცდომა, დასჯა ან დაბალი შეფასება, ამიტომ ყველანაირად ვცდილობთ, თავი ავარიდოთ. უკეთეს შემთხვევაში ვმაღავთ მას, ხოლო უარესში - სხვას ვაბრალებთ. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია შევძლოთ შეცდომებზე სწავლა და ისეთი გამოცდილების შექმნა, რომელიც არ დაგვავიწყდება.

მაიკლ პიარნი (Michael Pearn) გვთავაზობს საკუთარ შეცდომებზე სწავლის 10-საფეხურიან სისტემას. პირველი სამი საფეხური მოტივაციის გაზრდას ემსახურება, ხოლო დანარჩენი შვიდი – წარმატების ხელშეწყობას.

1. **კარგად უნდა გვესმოდეს, რისი სწავლა გვსურს.** ვადგენთ, კონკრეტულად რის სწავლას ვცდილობთ და კომპეტენციის რა დონეზე.
2. **კარგად უნდა გვესმოდეს რატომ გვსურს სწავლა.** განვსაზღვრავთ სწავლის მიზნებსა და შესაძლო სარგებელს.
3. **წარმოვადგენთ საბოლოო შედეგზე.** შეძლებისდაგვარად კონკრეტულად წარმოვიდგენთ სწავლის მიზნების წარმატებულ შედეგს.
4. **სწავლის მიზნების ჩამოყალიბება.** პრაქტიკულად ვაყალიბებთ სწავლის მიზნებს.
5. **სწავლის საუკეთესო გზების დადგენა.** ვეცნობით სწავლისადმი სხვადასხვა მიდგომას და ვადგენთ სწავლის ჩვენთვის მისაღებ სტილს.
6. **სწავლის ინსტრუმენტები, ტაქტიკა და ტექნიკა.** ვეცნობით შეცდომებზე სწავლის 10 ინსტრუმენტს, ტაქტიკასა და ტექნიკას, რომელიც სწავლის სრულყოფაში დაგვეხმარება. სავარჯიშოები დაგვეხმარება, გავიღრმავოთ ცოდნა სასურველი მიმართულებით.
7. **სწავლის პერსონალური გეგმის შედგენა.** სტრუქტურირებული დაგეგმვის პროცესი დაგვეხმარება, ნათლად წარმოვიდგინოთ, როდის და რა ვადებში რისი გაკეთება გვსურს. გეგმა ხელს უწყობს ვალდებულებათა გააზრებას და პროგრესის მონიტორინგსაც.
8. **ვიწყებთ!** პრაქტიკული რჩევები სწავლის გეგმის განსახორციელებლად.
9. **არ ვნებდებით!** პრაქტიკული რჩევები, როგორ უნდა გავაგრძელოთ სწავლა იმედგაცრუების, გეგმების ჩაშლის, რეგრესისა და სხვა ფაქტორების მიუხედავად.
10. **წარმატების ზეიმი.** ეს საფეხური არა მხოლოდ გეგმის შესრულებაში, არამედ სწავლის გზაზე საკვანძო ეტაპების აღნიშვნაშიც დაგვეხმარება. მივცეთ საკუთარ თავს დაპირებული სიამოვნების საშუალება!

1. კარგად უნდა გვესმოდეს, რისი სწავლა გვსურს

რა შეიძლება იყოს ჩვენთვის შეცდომებზე სწავლისას უმნიშვნელოვანესი?

1. სწავლის ზოგადი უნარების სრულყოფა;
2. შეცდომისა და მისი როლის უკეთ გააზრება ნაყოფიერი სწავლის გზაზე;
3. შეცდომის დაშვების ტენდენციისა და მისი შიშის დაძლევა;
4. ზოგადად გამოცდილების საფუძველზე უფრო ნაყოფიერი სწავლა;

5. სხვა არგუმენტები.

2. კარგად უნდა გვესმოდეს, რატომ გვსურს შეცდომებზე სწავლის სრულყოფა ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რა არის ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი?

თავდაჯერების ამაღლება	
თვითშეფასების ამაღლება	
შეცდომის დაშვების შიშის დაძლევა	
იმედგაცრუების დაძლევა	
მიღწევის განცდა	
მსგავსი შეცდომების თავიდან აცილება	
ექსპერიმენტირების სურვილი	
საკუთარი სწავლის კონტროლი	
სხვა	

3. წარმოდგენა საბოლოო შედეგზე

ეს მნიშვნელოვანი საფეხურია, რომელიც ხშირად უყურადღებოდ რჩება. საბოლოო შედეგზე ბუნდოვანმა წარმოდგენამ ან მისმა არქონამ შესაძლოა წინსვლით გამოწვეული სიამოვნება წაგვართვას, შეასუსტოს მოტივაცია სირთულეებთან შეჯახებისას.

საბოლოო შედეგზე წარმოდგენის შექმნის ერთ-ერთი პრაქტიკული შედეგი ის არის, რომ ის აქტიური ქმედებისთვის საჭირო ენერგიით გვაავსებს, განსაკუთრებით -იმედგაცრუებისა და სირთულეების პერიოდში.

აუცილებელია რეგულარული ჩანაწერების წარმოება და მისი ისეთ ადგილას შენახვა, რომ მუდმივად ვხედავდეთ. შესაძლოა გამოვიყენოთ ნახატები, სქემები და გრაფიკები - უნდა მოხდეს მისი პერსონალიზაცია.

ასევე სასარგებლო იქნება იმ ცვლილებათა აღრიცხვა, რომლის დანახვაც გვსურს საკუთარ თავში. ამ საქმეს შემოქმედებითად და ხალისით უნდა მივუდგეთ. კიდევ უფრო უკეთესი იქნება, თუ ცვლილებათა სიას მეგობრებთან ან კოლეგებთან ერთად შევადგენთ.

4. სწავლის მიზნების ჩამოყალიბება

სწავლის მიზნები ყალიბდება ზოგადი მიზნების საფუძველზე და გვეხმარება მეტ სიზუსტეში, პროცესის კონტროლსა და მართვაში, პროგრესის მონიტორინგში, პროგრესის საფუძველზე კმაყოფილების განცდაში, ვადების განსაზღვრაში.

მეცოდინება პროგრესი ერთი დონიდან მეორეში გადასვლისას, რადგან მეცოდინება
გარკვეული საკითხები
რისი გაკეთება ან თქმა შემძლია
როგორ ვიგრძნობ თავს
წინსვლას შევძლებ, თუ...

5. სწავლის საუკეთესო გზების დადგენა

რა გვჭირდება კარგად სწავლისთვის

- . მდიდარი გამოცდილება;
- . გამოცდილების განხილვა და გააზრება;
- . გამოცდილების საფუძველზე სწავლა და ალღოს განვითარება;
- . გეგმა ახალი გამოცდილების მისაღებად, რომელიც სრულყოფს ჩემს საქმიანობას. უმრავლესობა ჩამოთვლილთაგან ერთს ან რამდენიმეს ანიჭებს უპირატესობას. სწავლის ტიპები, რომლებიც შესაძლოა გამოვიყენოთ შეცდომებზე სწავლის პროცესში, მოიცავს:

პრაქტიკულ უნარებს, გამოცდილებასა და უკუკავშირს: ანალიზი, ობიექტურობა, არასასურველი შედეგების მიზეზების ცოდნა
გრძნობებსა და დამოკიდებულებას: შეცდომისადმი დადებითი დამოკიდებულება; ექსპერიმენტირებისა და მცდელობისათვის მზაობა; შეცდომისა და ემოციის გამიჯვნა
კონცეფციებისა და თეორიის ცოდნას: განსხვავება ჭკვიანურ და სულელურ შეცდომას შორის; შეცდომათა მრავალფეროვნება; შეცდომის მნიშვნელობა სწავლისა და განვითარების თვალსაზრისით

6. სწავლის ინსტრუმენტები, ტაქტიკა და ტექნიკა

1. ვეცადოთ, ბუნებრივად და ობიექტურად აღვწეროთ შეცდომა. ვიფიქროთ დაშვებულ შეცდომაზე და აღვწეროთ იგი შეძლებისდაგვარად ზუსტად.

სად დავუშვი შეცდომა?	
როდის დავუშვი?	
რა შეცდომა დავუშვი?	
რა ვთქვი/გავაკეთე?	
სხვებმა რა თქვეს/გაკეთეს?	
რატომ დავუშვი შეცდომა?	
რას განვიცდიდი?	

სასურველია, ამავე სქემის გამოყენებით დამატებით 1-2 სხვა შეცდომის გახსენება და აღწერა.

2. მზად ვიყო შეცდომით გამოწვეული ემოციებისთვის. შეცდომა ყველა ჩვენგანს აღიზიანებს, აცბუნებს, საფრთხეს უქმნის თვითშეფასებას, გვაშინებს, კარიერის თვალსაზრისით სარისკოა (ზოგჯერ), დასჯის ან დაცინვის საფრთხის მატარებელია (ხშირად!).

შესაბამისად, ვცდილობთ მათ იგნორირებას (სადაც და როცა შესაძლებელია), ვჩქმალავთ, სხვებს ვადანაშაულებთ (როცა შესაძლებელია). საზოგადოდ, სასურველია შეცდომის თავიდან აცილება.

ამგვარი შეხედულება არასწორია, რადგან ის ისეთი შეცდომებისგანაც "გვიცავს", რომლებიც კარგ გაკვეთილებად შეიძლება გამოვიყენოთ და შემოქმედებითი ნაბიჯები გადავდგათ. უმრავლესობას უსაფრთხოდ და თავდახრილი მუშაობა ურჩევნია. შეცდომის დაშვება და მასზე საუბარი ყველას გვიძნელდება, მაგრამ ამის გარეშე, ერთი მხრივ, ვკარგავთ სასარგებლო გაკვეთილების შანსს, ხოლო, მეორე მხრივ, ვიტოვებთ ამ შეცდომის გამეორების შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია ემოციებისა და შეცდომის გამიჯვნა, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ემოციების გამიჯვნა სწავლისაგან.

შეცდომის სისტემატურად და ობიექტურად აღწერა გვეხმარება ემოციებისგან თავის დაღწევაში.

3. დავახარისხოთ დაშვებული შეცდომები

ქვემოთ მოცემული ჩარჩო შეიძლება ჩვენთვის დამახასიათებელი შეცდომების კლასიფიკაციისთვის გამოვიყენოთ.

* *მიზნებთან დაკავშირებული შეცდომები* – ბუნდოვანი და კონფლიქტური, ან სხვებთან შეუთანხმებელი მიზნები;

* *ინფორმაციის დამუშავებასთან დაკავშირებული შეცდომები* – შეუმოწმებელი ვარაუდებისა და განზოგადებების საფუძველზე მუშაობა. ეს შესაძლოა გულისხმობდეს კონცენტრირებას ზედაპირულ ან მცირე მოცულობის ხელმისაწვდომ ან პოტენციურად ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე; პოტენციურად სასარგებლო ინფორმაციის იგნორირებას; მოქმედებას გვერდითი მოვლენების გაუთვალისწინებლად (აწმყოზე ორიენტაცია).

* *(მო)ქმედებასთან დაკავშირებული შეცდომები* – შინაგანი და გარეგანი ზეწოლის პასუხად გაუმართლებლად სწრაფი მოქმედება; უარის თქმა ინსტინქტურ/ინტუიციურ მოქმედებაზე (ზერაციონალიზაცია); დაუფიქრებელი მოქმედება, წარუმატებლობის ან წარმატების მიზეზების გაუთვალისწინებლობა (რეფლექსიაზე უარის თქმა);

* *თანამდევი შეცდომები* – დაშვება, რომ მოსახდენი ხდება ან მოხდება და კონტროლი (მონიტორინგი) არ არის საჭირო.

შეცდომების კლასიფიკაცია საშუალებას მოგვცემს გავიგოთ, რა შეგვიძლია გავაკეთოთ მათი თავიდან აცილებისთვის.

4. არა დადანაშაულება, არამედ სარგებლის დანახვა

ნაცვლად იმისა, რომ თავი დავიდანაშაულოთ და უბედურად ვიგრძნოთ, უნდა ვცადოთ საკუთარი ჩვევების შეცვლა.

დადანაშაულების ნაცვლად	ვცადოთ	გამოვინახოთ სარგებელი
არ განვსაჯოთ საკუთარი თავი ("იდიოტი ვარ")	ვცადოთ	გავარკვიოთ ("რა მოხდა და რატომ?")
ყურადღება მხოლოდ ემოციებს არ მივაქციოთ ("ვცოფდები საკუთარ თავზე")	ვცადოთ	შევინარჩუნოთ სიმშვიდე ("ამაზე მერე ვიფიქრებ, როცა დავმშვიდდები")
არ გავბრაზდეთ იმაზე, რაც, ჩვენი აზრით, მოხდა	ვცადოთ	გავარკვიოთ, რა მოხდა სინამდვილეში
არ დავადანაშაულოთ სხვები შეცდომის გამო ("ეს არ უნდა მოგსვლოდათ")	ვცადოთ	ყურადღება მივაქციოთ პროცესებს, რომლებმაც ხელი შეუწყო შეცდომას ("რის გაკეთება შეგვეძლო სხვაგვარად?")
არ უნდა დავინახოთ მხოლოდ უარყოფითი ("მხოლოდ მე ვარ დამნაშავე")	ვცადოთ	დახმარება და წახალისება ("ცუდია, ასე რომ მოხდა, მაგრამ შეცდომა ყველას მოსდის!")
მხოლოდ შედეგებზე ნუ ვიდარდებთ ("ალბათ, უამრავი პრობლემა შემექმნება")	ვცადოთ	დავფიქრდეთ მიზეზებზე ("რას შეიძლება გამოეწვია შეცდომა?")
ნუ ვიგრძნობთ თავს დამნაშავედ	ვცადოთ	დავინახოთ სწავლის ხელსაყრელი შესაძლებლობა ("რა შეიძლება ვისწავლო?")
ნუ ვიფიქრებთ, თითქოს შეცდომა ისეთი რამ არის, რომელიც, რაღაც უნდა დაგვიჯდეს, თავიდან უნდა ავიცილოთ ("ეს არასოდეს უნდა მოხდეს")	ვცადოთ	განვიხილოთ შეცდომა სწავლის მნიშვნელოვან საშუალებად ("ეს გაკვეთილი არასოდეს დამავიწყდება")

5. ვისწავლოთ დიდი ადამიანებისგან:

უცნობი ავტორები:

აზრი არა აქვს შეცდომის დაშვებას, თუ მისგან არაფერს ვისწავლით.

კიდევ ერთი სიცოცხლე რომ მქონდეს, უფრო მეტ შეცდომას დავუშვებდი.

რაც შეიძლება მეტი უნდა ვისწავლოთ სხვების შეცდომებზე. ჩვენ იმდენი დრო არ გვაქვს, რომ საკუთარი შეცდომები დავუშვათ. უდიდესი შეცდომა, რომელიც შეიძლება მოგვივიდეს, შეცდომის მუდმივი შიშია. ვინც შეცდომას არ უშვებს, არც არაფერს აკეთებს.

ციცერონი

შეცდომა ყველას მოსდის, მაგრამ მხოლოდ სულელი ვერ სწავლობს.

ჯონათან სვიფტი

ადამიანს არ უნდა რცხვენოდეს შეცდომის, რადგან მისი წყალობით დღეს ის უფრო გონიერია, ვიდრე გუშინ იყო.

ჰენრი ფორდი

შესაძლოა შეცდომა მნიშვნელოვანი მიღწევისთვის აუცილებელი პირობა იყოს.

იგორ სტრავინსკი

როგორც კომპოზიტორმა, შეცდომებითა და მცდარი ვარაუდებით უფრო მეტი ვისწავლე, ვიდრე სიბრძნისა და ცოდნის წყაროებით.

ჯორჯ სოროსი

თუ გავაცნობიერებთ, რომ ადამიანისთვის დამახასიათებელია არასრულყოფილი გონება, მაშინ შეცდომებისა კი აღარ უნდა შეგვრცხვეს, არამედ მათი გამოსწორების უუნარობის.

დაუ ლარსონი

შეცდომა ადამიანურია, მისი აღიარება – სუპერადამიანური. შეცდომების გამოსწორების უნარი მაღალი ინტელექტის ნიშანია.

ოთარ ჭილაძე

"შეცდომა ანათებდა, მასაც საკუთარი სინათლე ჰქონდა და, მნათობთა მსგავსად, მასაც გააჩნდა ყველაფრის გარდამქმნელი, ყველაფრის ამაფორიაქებელი ძალა. რაც უნდა თავზარდამცემი, საშინელი და დამაქცევარი ყოფილიყო იგი, გასაქცევარსა და თავშესაფარს მაინც უტოვებდა მისგან დამფრთხალ არსებას. ეხმარებოდა კიდევ ამ თავშესაფარის პოვნაში, სადაც მისი მსხვერპლი ისე შევარდებოდა ხოლმე, როგორც დევნილი ნახირი სოროში. ეს თავშესაფარი გონება იყო..."

6. "ჭკვიანური" და სულელური შეცდომების გამიჯვნა

უმნიშვნელოვანესია "ჭკვიანური" და სულელური შეცდომების განსხვავება. "ჭკვიანური" შეცდომები დასაშვებია/მისაღებია, რადგან ისინი ექსპერიმენტების, კვლევის, წარმოსახვისა და შემოქმედების განუყოფელი ნაწილია. სწორედ ამ

პროცესების შედეგად გარდაიქმნება სამყარო. მათ გარეშე არასოდეს არაფერი შეიცვლებოდა.

სულელური შეცდომის თავიდან აცილება ადვილია, თუ უფრო მეტ სიფრთხილეს გამოვიჩინებთ ან უფრო ზუსტად დავგეგმავთ.

"ჭკვიანური" შეცდომა სასარგებლოა, რადგან მის საფუძველზე შესაძლებელია სწავლა, სულელური შეცდომით კი თითქმის ვერაფერს ვსწავლობთ.

7. განმეორებადი შეცდომების მიზეზების წვდომა

ხშირად ადამიანებს ერთი და იგივე შეცდომა მოსდით, მიუხედავად იმისა, რომ იციან მათ შესახებ და მათი თავიდან აცილება სურთ.

სად დაუშვია შეცდომა?	
რამდენად ხშირად ვუშვებ შეცდომას?	
რა არის ჩემი შეცდომის მიზეზი?	
რას ვგრძნობ ამ დროს?	
რას ვაკეთებ შეცდომის თავიდან ასაცილებლად?	
ჩემი აზრით, რატომ ვიმეორებ შეცდომას?	

სასარგებლო იქნება, თუ ასეთ ანალიზს იმ ადამიანს ვაჩვენებთ, რომელსაც ვენდობით და ვთხოვთ აზრის გაზიარებას და არა მზა პასუხებსა და რჩევებს. ამ ეტაპზე მიზანი შეცდომის ობიექტური აღწერაა.

შეცდომის გამეორების მიზეზი, ჩვეულებრივ, შენიღბულია, ასე რომ არა, მისი თავიდან აცილება ადვილი იქნებოდა.

8. ვესაუბროთ სხვებს დაშვებული შეცდომების შესახებ

ჩვეულებრივ, საკუთარ შეცდომებზე არ ვლაპარაკობთ, მაგრამ თუ გამოცდილ ადამიანებს ჩვენი ინტერესის მიზეზს ავუხსნით, მათგან ბევრს ვისწავლით. მრავალ მათგანს მრავალი შეცდომა მოსვლია წარმატების გზაზე. საყურადღებო შეცდომების გარეშე ისინი ვერ მიაღწევდნენ იმ წარმატებას, რომლითაც ამყობენ.

შესაძლოა, შეცდომებზე სასაუბროდ მათი დაყოლიება ასეთი ფრაზით ვცადოთ: "მსურს, რაც შეიძლება მეტი ვისწავლო თქვენი გამოცდილების საფუძველზე. თუ შეიძლება, მიახლოეთ იმ შეცდომებზე, რომლებიც წინსვლაში დაგეხმარათ". სანიმუშოდ შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი კითხვები: "სად დაუშვით შეცდომა? როდის? რა მოხდა? რა თქვით/გააკეთეთ? სხვებს როგორი რეაქცია ჰქონდათ? რატომ მიგაჩნიათ ეს შეცდომად? რა გასწავლათ ამ შეცდომამ?"

შესაძლოა, საკუთარ შეცდომებზეც მოგვიწიოს საუბარი, ამიტომ წინასწარ უნდა ვიფიქროთ მათზე.

9. მუდამ ეჭვქვეშ დავაყენოთ საკუთარი ვარაუდი

შესაძლოა, საკუთარი ჩვეული აზროვნებისა და მოქმედების მახეში ვიყოთ. საჭიროა, ჩვენი ვარაუდები ეჭვქვეშ დავაყენოთ და სხვაგვარად ფიქრი და მოქმედება ვცადოთ, რადგან სხვაგვარად იმავე შეცდომებს გავიმეორებთ.

10. შევუქმნათ საკუთარ თავს მხარდაჭერის სისტემა

შეცდომასთან შეგუება იოლი არ არის. დიდმა შეცდომამ ადამიანს შესაძლოა გული გაუტეხოს, შეაშინოს, სიცოცხლის ხალისიც კი დაუკარგოს. ასე რომ არ მოხდეს, საჭიროა ჩვევად ვაქციოთ მათზე მსჯელობა იმ მეგობრებსა და კოლეგებთან, ვისაც ვენდობით. ამ გზით კონსტრუქციულ უკუკავშირსა და მორალურ მხარდაჭერას მივიღებთ.

7. სწავლის პერსონალური გეგმის შედგენა

პერსონალური გეგმა პროგრესის მონიტორინგში გვეხმარება, ამიტომ ის შეძლებისდაგვარად დეტალური და სტრუქტურირებული უნდა იყოს. შეიძლება ვისარგებლოთ ქვემოთ მოცემული სქემით:

რატომ მსურს შეცდომებზე სწავლის სრულყოფა?		
როგორ დავახასიათებდი შეცდომებზე სწავლის ამჟამინდელ მდგომარეობას?		
როგორ წარმომიდგენია შეცდომებზე სწავლის სასურველი დონე?		
რა სპეციფიკური ქმედება მაქვს დაგეგმილი (ინსტრუმენტები, ტაქტიკა და ტექნიკა)?		
მიმდინარე კვირა		
მომავალი კვირა		
ერთი თვის შემდეგ		
ორი თვის შემდეგ		
ექვსი თვის შემდეგ		
როგორ გავიგებ, მაქვს თუ არა წინსვლა?		

ჩანაწერები მუდმივად უნდა ვაწარმოოთ. ამ საქმიანობაში სანდო ადამიანების ჩართვით წარმატების შანსი იზრდება.

8. ვიწყებთ!

როცა გეგმის განხორციელებას შევუდგებით, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, გვაქვს თუ არა გარკვეული წინსვლა. ამისთვის რამდენიმე ხერხი გამოგვადგება:
 . შეიძლება, შევხვდეთ დიდი ხნის უნახავ მეგობარს ან კოლეგას და ვაჩვენოთ, რისი გაკეთება შევძელით ამ პერიოდში;

- . დავიმოწმეთ პროგრესის ინდიკატორები და მოვინიშნეთ უკვე შესრულებული პუნქტები;
- . მიზნად დავისახოთ მოკლევადიანი მიზნების მიღწევა. ეს შეამცირებს დანებების რისკს;
- . შევახსენოთ საკუთარ თავს მოსალოდნელი სარგებელი.

9. არ ვნებდებით!

შეიძლება ითქვას, რომ დაწყება მნელია, თუმცა არანაკლებ მნელია დანებებაზე უარის თქმა და შეცდომებზე სწავლის გაგრძელება. ამაში დაგვეხმარება:

- . პროგრესის ინდიკატორების დამოწმება და უკვე შესრულებული პუნქტების მონიშვნა.
- . იმის გაცნობიერება, რომ პროგრესის გამო ნერვიულობა გარდაუვალია.
- . მიზნების "შესწორება" რეალისტურობის თვალსაზრისით გამოცდილების შესაბამისად და მათი მიღწევის გრაფიკის დაცვა;
- . იმ საფრთხეების ჩამოთვლა, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს პროგრესს და მათზე რეაგირების გზების ანალიზი.

შეიძლება, შევხვდეთ დიდი ხნის უნახავ მეგობარს ან კოლეგას და ვაჩვენოთ, რისი გაკეთება შევძელით ამ პერიოდში.

განვსაზღვროთ ის განმამტკიცებლები, რომლებიც წინსვლაში დაგვეხმარება, მიუხედავად დაბრკოლებებისა, იმედეგაცრუებისა, გულგატეხილობისა და მოულოდნელი პრობლემებისა.

რა შეიძლება იყოს განმამტკიცებელი?

განმამტკიცებელი შეიძლება იყოს როგორც **ჯილდო**, მაგ., მეგობართან ერთად სადილი, სასურველი შენაძენი, ტკბილეული, შამპანური, პიკნიკი და სხვ., ისე **სასჯელი** - უარის თქმა დაპირებულ სიამოვნებაზე, საჩუქარზე და სხვ.

ჯილდო	სასჯელი

10. წარმატების ზეიმი

არ უნდა დაგვავიწყდეს ყოველი მომდევნო დონის მიღწევის აღნიშვნა. ყოველთვის სასიამოვნოა განცდა "გამომივიდა! შევძელი!"

სწავლაში მიღწევებს, როგორც წესი, აკრედიტაციის, სერტიფიცირების და სხვათა საშუალებით აღნიშნავენ ხოლმე. მიუხედავად პერსონალური სწავლის არანაკლები მნიშვნელობისა, მისი ამგვარი აღიარება არ ხდება.

უნდა ვიპოვოთ გზები, რომლებიც სწავლაში წარმატებით მიღებული სიამოვნების გამოხატვაში დაგვეხმარება.

თუ ყველა დასახულ მიზანს მივაღწიე, ჯილდოდ ვისურვებდი...

დასასრულ, საუკეთესო გზა იქნება, უბრალოდ ახლებურად ვიფიქროთ და ვიმოქმედოთ, დავინახოთ სარგებელი როგორც საკუთარი თავისთვის, ისე სხვებისთვის და მომავალი სწავლის ვალდებულება ავიღოთ.